სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/47

ქ. თბილისი 17 აპრილი 2025წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის ანგარიშის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს მდივნის, პროფესორ ი. კუტუბიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 17 აპრილის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს აკადემიური საბჭოს 2024 წლის ანგარიში (დანართი);
2. აკადემიური საბჭოს ანგარიში წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**